მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(132) 2016 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 50 თეთრი

საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგა

18 ნოემბერს ქუთაისში პარლამენტის სასახლეში ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა. საქართველოს კონსტიტუციის და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა ***საქართველოს პრეზიდენტმა* გიორგი მარგველაშვილმა** გახსნა.

საქართველოს პრეზიდენტმა ახალარჩეული პარლამენტის წევრებს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ქვეყნის საკეთილდღეოდ წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები წარადგინა. მისი ინფორმაციით,ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3 513 884 შეადგინა. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ 1 825 054 შეადგინა. არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით, საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა შემდეგია:

№ 41 - „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო" - 115 მანდატი

№5 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 27 მანდატი

№8 - „დავით თარხან -მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" - 6 მანდატი,

№19 - „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო" – 1

№42 - საინიციატივო ჯგუფი - 1

პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა სხდომაზე განაცხადა, რომ კომისიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეისწავლა და პარლამენტის წევრად არჩეულად მიჩნეული იქნა 150 დეპუტატი. ამის შემდეგ, პარლამენტმა დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიით, დადგენილებით ცნო პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება. დადგენილების პროექტს მხარი 146 დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ პარლამენტის წევრის ფიცის ტექსტი წაიკითხა. ტექსტის წაკითხვის შემდეგ, პარლამენტის წევრებმა წარმოთქვეს „ვფიცავ" და ხელი მოაწერეს ტექსტს.

ფიცის დადების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა.

პარლამენტის დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა დეპუტატებს ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის შემადგენლობა გააცნო: ფრაქცია „ქართული ოცნება"- 110 დეპუტატი, ფრაქციას მამუკა მდინარაძე უხელმძღვანელებს; ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები" – 6 დეპუტატისგან შედგება და მისი თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე იქნება; უმრავლესობის ლიდერია არჩილ თალაკვაძე.

დარეგისტრირდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომლის შემადგენლობაში პარლამენტის 20 წევრი შედის და მას ნიკანორ მელია უხელმძღვანელებს. ასევე, დარეგისტრირდა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს წინსვლისთვის", რომელსაც ელენე ხოშტარია უხელმძღვანელებს. ფრაქცია პარლამენტის 6 წევრისგან შედგება. დარეგისტრირდა კიდევ ერთი ფრაქცია - „საქართველოს პატრიოტები". ფრაქციას,რომელიც 6 წევრისგან შედგება,გიორგი ლომია უხელმძღვანელებს.

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატად უმრავლესობამ ირაკლი კობახიძე დაასახელა, რომელმაც კენჭისყრის ჩატარების პროცედურამდე, პარლამენტის წევრებს სიტყვით მიმართა. ირაკლი კობახიძემ ამომრჩეველს პოლიტიკური ნების გამოხატვისთვის და გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

ახალარჩეულმა პარლამენტმა, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ფარული კენჭისყრით, 118 ხმით 3-ის წინააღმდეგ, ირაკლი კობახიძე დაამტკიცა.

პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და პატივისცემა დაუდასტურა. ირაკლი კობახიძემ საქართველოში პარლამენტარიზმის ტრადიციების განვითარებისა და პარლამენტის თითოეული წევრისთვის სამუშაო პროცესში ხელშეწყობისთვის მზადყოფნა კიდევ ერთხელ გამოხატა.

იმ დღესვე, პარლამენტმა ვიცესპიკერები აირჩია. პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ,120 ხმით 2-ის წინააღმდეგ,თამარ ჩუგოშვილი აირჩიეს. მეცხრე მოწვევის პარლამენტის ვიცესპიკერები უმრავლესობიდან იქნებიან: ილია ნაკაშიძე -131 ხმით, ზვიად ძიძიგური -129 ხმით 2-ის წინააღმდეგ და გიორგი ვოლსკი -129 ხმით 3-ის წინააღმდეგ. საპარლამენტო უმცირესობიდან ვიცესპიკერად - სერგი კაპანაძე 94 ხმით 15-ის წინააღმდეგ, ხოლო ფრაქციიდან „საქართველოს პატრიოტები" - ირმა ინაშვილი 106 ხმით 24-ის წინააღმდეგ აირჩიეს.

პარლამენტში კომიტეტების შემადგენლობების განსაზღვრისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობების კვოტების შესახებ დადგენილების პროექტი დეპუტატებმა 135 ხმით დაამტკიცეს.

პარლამენტმა კომიტეტების თავმჯდომარეები აირჩია. აგრარულ საკითხთა კომიტეტს ოთარ დანელია უხელმძღვანელებს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს - სოფიო კილაძე. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს - მარიამ ჯაში; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს- კახაბერ კუჭავა.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარედ პარლამენტმა რომან კაკულია აირჩია, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ - ზვიად კვაჭანტირაძე. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს თამარ ხულორდავა უხელმძღვანელებს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს- ირაკლი სესიაშვილი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს - ეკა ბესელია. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს- გრიგოლ ლილუაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს- სოფიო ქაცარავა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარედ პარლამენტმა გიორგი კახიანი აირჩია, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარედ - ირაკლი კოვზანაძე. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტს - მიხეილ ყაველაშვილი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს აკაკი ზოიძე უხელმძღვანელებენ.

ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის პრემიერ მინისტრი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე,სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სხვა რელიგიური კონფესიების უმაღლესი სასულიერო პირები, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გამოიწერეთ გაზეთი „გარეჯის მაცნე"

ხელმოწერა

1 წლით – 12 ლარი

6 თვით – 6 ლარი

1 თვით – 1 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 ნოემბრის მორიგ სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ზრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ* ალ. მეზვრიშვილმა.**

დღის წესრიგის II საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოცლიალურ საკითხთა განყოფილების გამგემ* სოფიკო შაქარაშვილმა.** მომხსენებელმა კონკრეტულად მიმოიხილა სოციალური დახმარების პროგრამით სოციალური დახმარების მოცულობა. როგორც მან აღნიშნა, ცვლილებებია შესატანი სოციალური დახმარების ბიუჯეტში. საბოლოო სახით კი 2016 წლისათვის სოციალური დახმარების ბიუჯეტი 473732 ლარს შეადგენს.

სხდომაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 87%–ით (გეგმა 8 942 695 ლარი, ფაქტი 7 788 320 ლარი), საკუთარი სახსრები 77%-ით, (გეგმა 115 622 ლარი, ფაქტი 88 730 ლარი).

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 78%–ით (გეგმა 10 909 821 ლარი, ფაქტი 8 516 658 ლარი); საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 86.5%-ით (გეგმა 6 363 895 ლარი, ფაქტი 5 504 373 ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 77%-ით (გეგმა 115 622 ლარი, ფაქტი 88 730 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესრულდა 16%-ით (გეგმა 180 664 ლარი, ფაქტი 28340 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 90%-ით (გეგმა 154 174 ლარი, ფაქტი 138 137 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 67%-ით (გეგმა 4 035 266 ლარი, ფაქტი 2 709 385 ლარი).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებული იქნა 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებით მ/წლის 1 ოქტომბრამდე 6-ჯერ მოხდა ცვლილებების შეტანა.

ცვლილება შეეხო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ასევე გადასახდელების ნაწილს და საბოლოოდ მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტი** დამტკიცებულთან შედარებით **გაიზარდა** 3 595 784 ლარით და შეადგინა **11 095 784 ლარი**. კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 9 თვის განმავლობაში დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა:

1) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების საფუძველზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (სოფელ **ხაშმში** სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელის რეაბილიტაციისთვის (252367 ლარი), ქ.**საგარეჯოში** დოდაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (180680ლარი), სოფელ **პატარა ჩაილურში** სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობისთვის (139600ლარი), სოფელ **შიბლიანში** მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (355015ლარი), ქ.**საგარეჯოში** ქეთევან წამებულის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (319180ლარი), **ქ.საგარეჯოში** წერეთლის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (181924ლარი), ქ. **საგარეჯოში** ქურდიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (38 304 ლარი), **ქ.საგარეჯოში** ჯანგულაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (70 103 ლარი), სოფელ **ბადიაურის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის (84549ლარი), ქ.**საგარეჯოს** №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (66581ლარი), სოფლების **დუზაგრამა-თულარის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის (811727ლარი), გამოყოფილი 2 500 030 ლარით;

2) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 1 082 163 ლარით;

3) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 215 244,79 ლარით;

4) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 30091,27 ლარით;

5) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 150 572,94 ლარით;

6) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტებიდან მორჩენილი ნაშთით 425 608,1 ლარით;

7) სხვა შემოსავლების გეგმა დამტკიცებულთან შედარებით გაიზარდა 13591 ლარით (შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები).

ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 2 226 630,02 ლარს.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის **გადასახდელებს**, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დამტკიცებულთან შედარებით შემცირდა 82 395 ლარით;

მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები შემცირდა 11675 ლარით;

მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები შემცირდა 57260 ლარით;

– ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

21 ნოემბერი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის ***გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა.

თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა ცალკეულ თემებსა და სოფლებში გააკეთეს ზეპირი ინფორმაციები სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე.

უდაბნოს გამგებლის წარმომადგენლის ჯამბულ მარგველანის ინფორმაციით 21 ნოემბერს, ათწლეულების შემდეგ პირველად ჩაირთო გარე-განათება სოფლის ორ უბანში.

ხაშმში გამგებლის წარმომადგენლის ზურაბ ყირმელაშვილის ინფორმაციით უკვე დამთავრდა სასმელი წყლის გაყვანა ე.წ. „აჭარელების უბანში“. აქ მცხოვრებ 7 ოჯახს ათეული წლებია ვერ მიეწოდებოდა სასმელი წყალი. ორიოდე დღეში დამთავრდება ტუმბოს დამონტაჟებაც და კიდევ ერთ უბანს მოეხსნება სასმელი წყლის პრობლემა. რაც შეეხება ე.წ. „ყარაბულახის“ ტერიტორიაზე სასმელი წყლის მილებით გაყვანას, აქ კიდევ 300 მეტრი მანძილით გაგრძელდა მაგისტრალი და აქაც, აქ მცხოვრებ კიდევ 7 ოჯახს მოეხსნება სასმელი წყლის პრობლემა. როგორც მან აღნიშნა, ახალ წლამდე ხაშმში მცხოვრებ თითოეულ ოჯახამდე იქნება მიყვანილი წყალი, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ ოჯახს საუკუნის მანძილზე არსებული პრობლემა საბოლოოდ გადაჭრას. სოფელში არსებულ ცენტრალურ ქუჩაზე დაწყებულია გარე-განათების მოწყობის სამუშაოები.

თათბირზე სათაფლის გამგებლის წარმომადგენელმა ემზარ გორგილაძემ თავისი თანასოფლელების ნინოწმინდელების ე.წ. „ეკომიგრანტებით“ დასახლების მცხოვრებთა სახელით მადლობა მოუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილსა და შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელობას აღნიშნულ უბანში ჩატარებული იმ სამუშაოებისათვის, რომელსაც აქაური მცხოვრებნი 25 წელზე მეტია ელოდნენ – მოწესრიგდა საუბნო გზა, მოეწყო სანიაღვრე არხი, გაიწმინდა წყლის ჭა. ნინოწმინდის სათავე-ნაგებობიდან გაყვანილ იქნა სასმელი წყლის მილი.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ნიკო ჯავახიშვილის ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე მალე დაიწყება ყველა სახის შინაური ცხოველის იდენტიფიცირება, რაც საშუალებას მოგვცემს შეიქმნას საქონლის აღწერის ერთიანი ბაზა. ეს კი გააადვილებს საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

მისივე ინფორმაციით, ამინდების გაუარესებასთან დაკავშირებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო ბარათების გამოყენების ბოლო ვადა 1 დეკემბრიდან გადავადდეს 20 დეკემბრამდე, რათა ბარათის მფლობელმა მოახერხოს თავის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოხვნა. საყურადღებოა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერჯერობით სასოფლო-სამეურნეო ბარათებით 400 ჰა-მდე ფართობი კვლავ მოსახნავია. ამიტომ მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებს, საბოლოოდ დააზუსტონ სოფლად მცხოვრები პიროვნებების სია, რომელთაც დღემდე არ გამოუყენებიათ მათ ხელთ არსებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი. სახელმწიფოს ინტერესია – არ დარჩეს არც ერთი ჰა მიწა მოსახნავი, რომლის უფლებასაც მცირე მიწიან ფერმერს ანიჭებს ის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც წელსაც მოქმედებს. ბატონი ნიკოს ინფორმაციით, მალე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებას დაიწყებს ორი მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც გასცემს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა მოსალოდნელი გავრცელების შესახებ.

თათბირზე დიდი ინტერესი გამოიწვია გამგებლის წარმომადგენელთა მიერ შეკითხვამ – გამგებლის წარმომადგენელთაგან ცნობის საქონლის ადგილწარმოშობის გაცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე შეკითხვებს უპასუხეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა კახაბერ მარგებაძემ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგიონული მართვის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს ინსპექტორმა ჯიმშერ ოსიაშვილმა.

თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა, ასევე ისაუბრეს ჯერჯერობით სოფლად არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით თანდათანობით გვარდება.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

<u>გაგრძელება</u>

იტაციის და ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა 5 385 324 ლარით;

– გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა–შენახვის ხარჯები გაიზარდა 2 685 986 ლარით;

– დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 29400 ლარით;

– ხევების, კალაპოტების გამაგრება-გაწმენდა შემცირდა 18044 ლარით;

– დაფინანსდა შპს „საგარეჯო“ 51400 ლარით;

– წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 1 444 165 ლარით;

– 287 681 ლარით გაიზარდა გარე განათების რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები;

– აიპ„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევა”-ს დაფინანსება გაიზარდა 30000 ლარით;

– დაიგეგმა სკვერების, დასასვენებელი პარკების, მოსაცდელების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები 105 309 ლარით;

– მინი–სტადიონებისა და სპორტდარბაზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ღონისძიებები გაიზარდა 26189 ლარით;

– კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გაიზარდა 479973 ლარით;

– სანიაღვრე არხების აღდგენის დაფინანსება გაიზარდა 104323 ლარით;

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 158 943 ლარით.

– საგანმანათლებლო ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯები გაიზარდა 197855 ლარით, რაც გამოწვეულია არაფინანსური აქტივების ზრდის დაგეგმვით 304812 ლარი;

– სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 31705 ლარით; (რაც გამოწვეულია დაფინანსების გაზრდით: სპორტული ღონისძიებების – 35324 ლარით, აიპ „№105 კომპლექსური სპორტსკოლის“ ხარჯების – 5000 ლარით, შემცირდა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ხარჯები 35299 ლარით. კულტურული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება გაიზარდა 26720 ლარით.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები გაიზარდა 28694 ლარით, გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდა.

– **საშემოსავლო *ნაწილის*** შესრულება შემოსავლის ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

– საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულდა 98.6%-ით და შეადგენს 523 552 ლარს;

– ქონების გადასახადის გეგმა შესრულდა 95.7%–ით და შეადგენს 1 200 976 ლარს;

მათ შორის

ა)საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 992%–ით და შეადგინა 924197 ლარი;

ბ) ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულდა 3.4%–ით;

გ) სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 21%–ით და შეადგენს 223452 ლარს;

დ) არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შესრულდა 82%–ით შეადგენს 52596 ლარს;

– სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტების გეგმა შესრულდა 79%–ით, კერძოდ, გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 2 040000 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 157500 ლარი, კაპიტალური ტრანსფერი -2412922 ლარი;

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 83.5%–ით, (გეგმა 1 192 928 ლარი, ფაქტი 995 665 ლარი);

კერძოდ:

– შემოსავალი პროცენტებიდან შემოსულია 81717 ლარი (გეგმის 181%).

რენტა შესრულდა 99.6%-ით, (გეგმა 443337 ლარი, ფაქტი 441327 ლარი);

– **მათ შორის** მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 426408 ლარი;

ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 106.4%–ით (გეგმა 68 000 ლარი, ფაქტი 72345 ლარი);

გ) ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 114%–ით (გეგმა 61000 ლარი, ფაქტი 69 371 ლარი);

დ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 43%–ით და შეადგენს 2974 ლარი;

ე) ჯარიმები, სანქციები და საურავები 64%–ით (გეგმა 623 000 ლარი, ფაქტი 399 296 ლარი);

– ***არაფინანსური აქტივების*** კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 366%–ით, კერძოდ შემოსულობა მიწის გაყიდვიდან გეგმა 125 000 ლარი, ფაქტი 457 706 ლარი;

საგასაკლო ნაწილის შესრულება ასეთია:

– მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 1 550 818 ლარი, ანუ გეგმიური 1 642 244 ლარის 94.4%.

– თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 82543 ლარის 85%, ანუ 70176 ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდა გეგმიური 6 024 725 ლარის 66%–ით ანუ 3 981 012 ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 70%-ით (გეგმა 1 923 765ლარი, ფაქტი 1 338 522 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი შესრულდა 15.7%-ით (გეგმა 180664 ლარი, ფაქტი 28 340 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 66.5%-ით (გეგმა 3860097 ლარი, ფაქტი 2 566 458 ლარი).

– კერძოდ, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა გეგმიური 2 736 980 ლარის 62.5%, ანუ 1 710 296 ლარი.(ვერ განხორციელდა სპეც.ტექნიკის-გრეიდერის შეძენა,სავარაუდო ღირებულება 275 000 ლარი).

– ***კომუნალური ინფრასტრუქტურის*** მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა 2 028 142 ლარი (75%) ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 2 711 807 ლარისა. **მათ შორის:**

წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებს მოხმარდა 1 295 345ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 76% (გეგმა1 710 894ლარი).

- ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 142368 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 93,6%.

- გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 269617 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 60%. მათ შორის გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება შეადგენს 202525 ლარს, არაფინანსური აქტივების 246134 ლარიდან ათვისებულია 67092 ლარი 27,3%.

- გარემოს დაცვითი ღონისძიებები დაფინანსდა 463180 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 84%. მათ შორის დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსებულია 343197 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 88%. (სექტემბრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება ლარის გადარიცხვა მოხდა ოქტომბერში, გამწვანების და პარკების მოვლაზე გამოცხადებული ტენდერი უარყოფითი შედეგით დასრულდა, მეორედ გამოცხადებული ტენდერით ხელშეკრულება დაიდო მიმწოდებელთან მ/წლის 11 აპრილს); სანიაღვრე არხების აღდგენას მოხმარდა 91955 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 90,2%.

– სხვა ხარჯი სოფლის მეურნეობის ხაზით დაფინანსდა 32052 ლარი (28,7%).

- შპს „საგარეჯო“ დაფინანსდა 18224 ლარით, 61,2%-ით;

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაიხარჯა 210523 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 45,4% (გეგმა 464082ლარი).

– საგანმანათლებლო ღონისძიებები დაფინანსებულია 90,3%–ით (გეგმა 1 499 033 ლარი, ფაქტი 1 353 185ლარი); მათ შორის ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსებულია 96%–ით (გეგმა 1176797ლარი, ფაქტი 1128117 ლარი); სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია დაფინანსდა 171032 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 64,3%. ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 53 637 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 96,2%.

– სპორტული,ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები დაფინანსებულია 93.5%–ით (გეგმა 1045407ლარი, ფაქტი 977233 ლარი), მათ შორის სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 524859 ლარი, გეგმიურის 94.7%, კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 422494 ლარი, გეგმიურის 93.4%, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობაზე დაიხარჯა 12845 ლარი, გეგმიურის 62.4%, საგამომცემლო საქმიანობაზე დაიხარჯა 17034 ლარი, გეგმიურის 93.8%.

– სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 95%–ით (გეგმა 615 868 ლარი, ფაქტი 584234 ლარი); აქედან უფასო სასადილოები დაფინანსდა 124289 ლარით (92%) (230 ბენეფიციალზე);

– საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანასდა 73137 ლარით (97.4%); სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 20940 ლარით (79.7%).

– უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 294634 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 99,7%-ით, კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება დაფინანსებულია 121500 ლარით (გაცემულია 1215 ოჯახზე), მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გაცემულია 4400 ლარი (გაცემულია 22 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა/რეაბილიტაცია დაფინანსდა 109887 ლარით (გაცემულია 285 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსებამ შეადგინა 61164 ლარი (გაცემულია 466 ოჯახზე), უპატრონო და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დაკრძალვის ხარჯი გაცემულია 7200 ლარი (გაცემულია 24 ოჯახზე), 95 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისთვის საჩუქარი დაფინანსდა 1100 ლარით (გაცემულია 11 ბენეფიციარზე), დიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯი -14800ლარი;

– დედმამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2650 ლარით (6 ბენეფიციარი);

– ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2100 ლარით (გაცემულია 21 ოჯახზე);

– მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1400 ლარით (გაცემულია 14 ბენეფიციალზე);

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 10350 ლარით (გაცემულია 70 ბენეფიციალზე);

– ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 7822 ლარით (100%).

– ვეტერანთა დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 3250 ლარი (11 ბენეფიციალი).

– სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსდა 25912 ლარით (27 ოჯახი);

– სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 13869 ლარით, კერძოდ სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ -5751ლარი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე გადასაცემი 110 კუბ.მ. საშეშე მერქანის ტრანსპორტირების ხარჯი - 7425 ლარი (გაცემულია 70 ოჯახზე), ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის საახალწლო და სააღდგომო სურსათის ამანათების გადაცემა დაფინანსდა 3023 ლარით (გაცემულია 500 ოჯახზე).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის ხარჯვა მუხლების მიხედვით ასეთია:

– შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1 226 834ლარი (96,2%);

– საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა გეგმიური 1 117 717 ლარის 88,6% ანუ 990768 ლარი;

– პროცენტი შეადგენს 2219 ლარს (100%);

– სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა გეგმიური 2408712 ლარის 96,1% ანუ 2 314 797 ლარი;

– გრანტები შეადგენს 35323 ლარს (100%);

– სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 97,4%–ით (გეგმა 344078ლარი, ფაქტი 335134 ლარი);

– სხვა ხარჯები შეადგენს გეგმიური 146494 ლარის 65% ანუ 95200 ლარს;

– არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი დაფინანსდა გეგმიური 5 553 441 ლარის ნაცვლად 3 490 271 ლარით ანუ 63%–ით.

– ვალდებულებების კლებამ შეადგინა 26111 ლარი (100%).

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 60199 ლარი, გახარჯულია 47692 ლარი, მათ შორის კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილია 51513 ლარი, გახარჯულია 39006 ლარი

მ/წლის 9 თვეში მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადებულია 334 ხელშეკრულება, მათ შორის -- 301 ხელშეკულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, 27 ხელშეკრულება სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა საცხოვრებელი ფართების იჯარის შესახებ, 2 სუბსიდიის ხელშეკრულება, 4 ხელშეკრულება, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას. გამოცხადდა 150-ზე მეტი გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერი.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქვეს საკრებულოს წევრებმა გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა, ზურაბ ქურთიშვილმა და სხვ.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მორჩენილი თანხებით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მორჩენილი თანხებით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ქონების მართვის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა*** **გიორგი ძურღოვანიძემ.**

როგორც მან აღნიშნა საკრებულოს მიერ მოწონების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

გომგორი – 4453 ლარი – სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია; სასაფლაოს შემოღობვის დასრულება

უჯარმა – 5823 ლარი – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

მუხროვანი – 1068 ლარი – სარწყავი წლის აღდგენა;

იკვლიე გორანა – 2107 ლარი– სასმელი წყლის რეაბილიტაცია;

ოთარაანი – 4409 ლარი – 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი სასმელი წყლის მილების მოწყობა;

ხაშმი – 6894 ლარი – გარე განათების მოწყობა;

პატარძეული – 15694 ლარი სამი მოსაცდელის მოწყობა;

ნინოწმინდა 7282 ლარი – ცხაურების მოწყობა №11 და №12 ქუჩებზე; საბავშვო ბაღში და №1 ქუჩის I შეს. სასმელი წყლის შეყვანა;

წყაროსთავი – 4183 ლარი – გარე განათების მოწყობა

გიორგიწმინდა – 9548ლარი – ჭაბურღილზე დამატებითი რეზერვუარის მოწყობა;

თოხლიაური – 7216 ლარი – გარე განათების მოწყობა;

სათაფლე – 915 ლარი – სოფელში არსებული ჭის რეაბილიტაცია;

მანავი – 10596 ლარი – №1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; გარე განათების მოწყობა;

დიდი ჩაილური – 6000 ლარი – წყლის შემკრები ავზის სრული რეაბილიტაცია;

<u>*დასასრული მე-5 გვერდზე*</u>

განათლება

„კარგი სწავლითა და სიბეჯითით“... ლეპტოპები მოსწავლეებს

მეგი ჯანანაშვილი ***თოხლიაურის საჯარო სკოლის მეათეკლასელია.***

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მან და მისმა თანატოლებმა მართლაც დიდი, დიახ, დიდი საჩუქარი მიიღეს – ლეპტოპი. და თანაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეების ხელიდან. სწორედ მაშინ იგრძნო სიამაყეც, სიამოვნებაც და ისიც, რომ ადამიანი თავის შრომისა და გარჯის შედეგს ყოველთვის სიკეთედ და სიხარულად იმკის. სკოლაში სწავლის ის წლები, რომლებიც სწავლის, შრომისა და ძიების ხანაა, თითოეული მოსწავლისგან ნებისყოფას და შემართებას მოითხოვს... ხოდა, მეგიმაც და ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა 19 მეათეკლასელმაც, რომელთაც მეგის თქმით – ეს საჩუქარი კარგი სწავლითა და სიბეჯითით დაიმსახურეს, ცხრა წლის განმავლობაში ყველა საგანში მხოლოდ 10 ქულიან შეფასებას იმსახურებდნენ. ათი ქულის მიღებას კი მართლაც შრომა და სიბეჯითე სჭირდება.

მეგის ვთხოვეთ საკუთარი თავი დაეხასიათებინა და დაესახელებინა მისთვის საყვარელი პედაგოგები:

– ვარ აქტიური, ნაკლებად კომუნიკაბელური, ოპტიმისტი და მოუსვენარი. ვფიქრობ, კარგი სწავლითა და სიბეჯითით უმაღლესი ჯილდო – ლეპტოპი მართლაც ღირსეულად დავიმსახურე. თავისუფალ დროს მიყვარს დეტექტივების კითხვა, სპორტი და ცეკვა, ვუსმენ მუსიკას... მიყვარს მათემატიკა და შესაბამისად პატივს ვცემ ჩემი მათემატიკის მასწავლებელს მარინა ჩერქეზიშვილს, რომელიც მომთხოვნი და ყურადღებიანი პედაგოგია, თუმცა ჩემი სკოლის ყველა მასწავლებელი ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს პედაგოგი. რაც შეეხება კლასის დამრიგებელს დალი ჭიკაძეს, მასთან მართლაც რომ დედა-შვილური ურთიერთობა მაქვს და არა მარტო მე...

კესო ქვლივიძე – ***საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეათეკლასელი:***

– კესო, რამდენად ადვილია წარმატების მიღწევა, რა არის საჭირო, რომ გახდე წარმატებული მოსწავლე?

– ერთი შეხედვით საკმაოდ რთულად გვეჩვენება, თუმცა საქმე გაცილებით მარტივადაა, მთავარია მოვინდომოთ და გვქონდეს კონკრეტული მიზანი, არასოდეს გავჩერდეთ და მარცხის შემდეგ არ დავყაროთ ფარ-ხმალი. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ გარშემომყოფებს სწამდეთ ჩვენი წარმატებისა, რთულ მომენტებში გვერდში გვედგნენ და სტიმულს გვაძლევდნენ.

– გსიამოვნებს თუ არა შექება?

– შექება ნებისმიერი ადამიანისათვის სასიამოვნოა, თუმცა ვფიქრობ, რომ ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი ზღვარი. ზომიერად შექება წამახალისებელია ჩემთვის და საკუთარ ძალებში მეტად მარწმუნებს, მაგრამ თუ იგი ზღვარს გადასცდა, შემაფერხებელი ხდება და ორმხრივად საზიანო, – როცა საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ და აღარ ვცდილობ განვითარებას, ან როცა ვთვლი, რომ დაუმსახურებლად მივიღე ამგვარი შეფასება.

– რა გრძნობა გეუფლება, როცა გაქებენ, რა განიცადე, როცა გაიგე ჯილდოს მიიღებდი? გაიხსენე ის წუთები, ის განცდა, როცა მინისტრის მოადგილემ ლეპტოპი გადმოგცა...

– სიამაყისა და სიხარულის განცდა დამეუფლა, როცა მინისტრის მოადგილემ საჩუქარი გადმომცა, რადგან გარკვეულწილად ეს ჩემი შრომის ნაყოფი და განხორციელებული მიზანი იყო, სტიმულს მაძლევდა მეტი შემართებით მებრძოლა ახალი მიზნის მისაღწევად.

რთულია საკუთარი თავის ობიექტურად შეფასება, არ მინდა, რომ რაიმე უარყოფითი თვისება გამომრჩეს და თავი განსაკუთრებულ პიროვნებად წარმოგიჩინოთ. რაც ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა ისაა, რომ ხშირად ცუდ ხასიათზე ვარ, ემოციურობის გამო უმნიშვნელო რამეც მწყინს, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ – რაც სხვებისგან გულს მატკენს, არ გავიმეორო და ვინმეს წყხილის მიზეზი არ გავხდე.

მაკა დაბახიშვილი – ***მანავის საჯარო სკოლის მეათეკლასელია.*** თავისი თავისა და სკოლის პედაგოგების დახასიათებას მაკა ასე იწყებს:

– ვარ აქტიური, კომუნიკაბელური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მიყვარს სათავგადასავლო და დეტექტიური შინაარსის ნაწარმოებები. ვკითხულობ რომანებსაც. ჩემი საყვარელი საგანი მათემატიკაა. განსაკუთრებით მომწონს უცხო ენებიც: რუსული და ინგლისური. ჩემი სკოლის დირექტორი და ყველა მასწავლებელი დიდი სითბოთი და სიყვარულით მზრუნველობენ ჩვენს მიმართ. ჩემი კლასის დამრიგებელი უაღრესად კეთილშობილი და კომუნიკაბელური პიროვნება მაია ქვლივიძეა, მისი ყოველი ქმედება ჩვენთვის მისაბაძია.

თავისუფალ დროს ვატარებ მეგობრებთან, ვკითხულობ წიგნებს, ვუსმენ მუსიკას და ვზივარ კომპიუტერთან.

გამარჯვებული „მირელა“-ს გოგონები – ყველაზე მომხიბვლელები

2016 წლის 21-22 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომელიც კომპანია „არტ-ფესტი“-ს ფარგლებში მოეწყო. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სტუდია „მირელა“-მ, რომელმაც პირველი ხარისხის დიპლომი და მედალი დაიმსახურა. სტუდიის მონაწილე ბავშვებმა მაყურებლის და ჟიურის განსაკუთრებული მოწონება და სიმპათია დაიმსახურეს.

ფესტივალში ასევე მონაწილეობდა ისრაელის საბავშვო თეატრი, აზერბაიჯანის ქორეოგრაფიული სტუდია, ყაბარდო-ბალყარეთის მუსიკოსთა ჯგუფი, უკრაინის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული სტუდიები, ქ. თბილისის მოსწავლეთა სასახლესთან არსებული საბავშვო თეატრი და სამეჯლისო სტუდია, ქ. თბილისის ქორეოგრაფიული სხვადასხვა სტუდიები, ქ. ბათუმის მოსწავლეთა სახლთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, ქ. ზუგდიდის ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო ჯგუფები და ქ. ფოთის საბალეტო სკოლა-სტუდია.

ფესტივალის მონაწილეებს აფასებდა საერთაშორისო ჟიური.

პროექტში გამარჯვებულები

დიდი მონდომებით ჩავერთეთ

ზაფხულში, დამირეკეს ჩემმა მეგობრებმა და მითხრეს, მიმეღო მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ჩატარებულ კონკურსში “ ჩემი ხმა–ჩვენი მომავალი”, რომელიც ეხებოდა არჩევნებს, მეც სიამოვნებით დავეთანხმე, .ჩვენ ნათია მჭედლიშვილმა, გიორგი გულისაშვილმა და მე გადავწყვიტეთ ჩვენი კამპანია ყოფილიყო ისეთი, რომელსაც ხალხი აიტაცებდა.პირველ რიგში ჩვენ დავამზადეთ ფლაერები, პლაკატები, სადაც ჩამოვაყალიბეთ ის მიზეზები, რომელიც ხალხს გაუადვილებდა გადაწყვეტილების მიღებას. ჩვენი მიზანი იყო ხალხი დაგვერწმუნებინა იმაში, რომ არჩევნებზე წასვლა აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ეს არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობა და ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია წავიდეს არჩევნებზე და დააფიქსიროს თავისი ხმა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის, რომ მათ შუძლიათ შეცვალონ არა მარტო თავისი, სხვების ცხოვრებაც.ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ, მუდამ ამ პროექტზე ვფიქრობდით, აზრებს ვაწვდიდით ერთმანეთს და საბოლოოდ საუკეთესოზე ვთანხმდებოდით. ჩვენი ხელმძღვანელი იყო 1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი – მარინა გულისაშვილი, რომელიც დაგვეხმარა წარმატების მიღწევაში.მე, გიორგი და ნათია ხშირად ვიკრიბებოდით ერთად.ასევე, ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა რათა გაგვეგო რამდენად ჩართულია ხალხი ქვეყნის ცხოვრებაში. 17 გამოკითხულიდან თხუთმეტმა ადამიანმა ზუსტად იცის, რომ არჩევნებზე წასვლა აუცილებელია, რომ ეს მათი მოვალეობაა, ზოგმა არც იცის წავა თუ არა. იმისთვის რომ დაგვერწმუნებინა ხალხი, არჩევნებზე წასვლის აუცილებლობაზე, მრავალი ღონისძიება ჩავატარეთ. მათ შორის გადავიღეთ ფლეშმობი, რომელმაც 12000 ნახვა მოაგროვა. ჩვენი გუნდი აწარმოებდა ონლაინ კამპანიასაც. შემდეგ ტურში გადასვლა სტიმული იყო ჩვენთვის და უფრო მეტი მონდომებით ვეკიდებოდით საქმეს. სულ მალე გამოაცხადეს რომ ფინალში გადავედით, რათქმაუნდა ძალიან გაგვიხარდა. ფინალი ბათუმში ტარდებოდა. ამიტომაც წაგვიყვანეს ბათუმში. ბათუმში ძალიან საინტერესო დღეები გავატარეთ, მრავალი ბავშვი გავიცანით, დავუმეგობრდით და გავერთეთ, იქ შევხვდით საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც სიტყვით გამოვიდა აუდიტორიის წინაშე. მართალია, ფინალში ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ ღირსეულად წარმოვაჩინეთ ჩვენი სკოლაა.

მედეა სიფროშვილი,

საგარეჯოს I საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

განათლება

პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა
აქ დღესაც წარმატებული სწავლობენ

პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის ***(დირექტორი თემურ ყავრიშვილი)*** შენობა, რომელშიც ახლა პატარაჩაილურელი მოსწავლეები განათლების საფუძვლებს ეუფლებიან 1970 წელს აშენდა.

ცნობისათვის: ***სკოლის დირექტორი თემურ ყავრიშვილი პატარაჩაილურელია. სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ბაკურციხის ტექნიკუმში განაგრძო, შემდეგ კი 1975 წელს თბილისის მაშინდელი ალ. პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ამავე სკოლას უკვე გეოგრაფიის მასწავლებლად მოევლინა. მანამდე, 1969 წელს დიდი ჩაილურის საშუალო სკოლაში შრომითი სწავლების მასწავლებელი იყო, შემდეგ პატარა ჩაილურში სამხედრო მომზადების გაკვეთილებს ატარებდა. შემდეგ იყო ამავე სკოლის ორგანიზატორი, 1985 წელს – თოხლიაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, 1986 წელს – დიდი ჩაილურის სკოლის დირექტორი 1994 წლამდე. 1994 წლიდან დღემდე პატარა ჩაილურის სკოლის დირექტორი და გეოგრაფიის მასწავლებელია.***

მეუღლე – ნინო ბაღდადაშვილი ამავე სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგია. ჰყავთ სამი ქალიშვილი. მათგან უფროსი – მაკა გაჰყვა მამის პროფესიას, ერთხანს საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა, შემდეგ კი პროფესია შეიცვალა და დღეს საგარეჯოს „PSP“-ს აფთიაქის მთავარი ფარმაცევტია, ლელაც ფარმაცევტია, ეკა – მედიცინის და.

სკოლის შესახებ თავად საჯარო სკოლის დირექტორი თემურ ყავრიშვილი გვესაუბრება:

– როგორც გითხარით, სკოლა 1970 წელს აშენდა. მანამდე ის სოფლის თავში, ტყესთან ახლოს მდებარეობდა. მისი დირექტორი აწ განსვენებული ვანო ფხალაძე მართლაც სოფლის კოლორიტი იყო – განათლებული, ნაკითხი, ავ-კარგიანი, წარმოსადეგი კაცი მისაბაძი იყო პატარაჩაილურელებისათვის. ის გეოგრაფიის მასწავლებელიც იყო. ძალიან შეგვაყვარა ეს საგანი, თუმცა მე ისედაც მაინტერესებდა და სკოლაში ყველაზე კარგად ამ საგანს ვსწავლობდი. ახალ შენობაში გადმოსვლის შემდეგ ვანო მასწავლებელი ყველანაირად ცდილობდა შენობის იმ სახით შენარჩუნებას, როგორიც ადრე იყო. ეს ტრადიცია



ჩვენც გადმოგვეცა და ჩვენც ვცდილობთ მის გაფრთხილებას. შენობა ორსართულიანია, რომელიც 1152მ2-ზეა განთავსებული. ბოლო 30 წელიწადში მას რემონტი არ ჩატარებია, მაგრამ კმაყოფილ;ები ვართ იმითაც, რომ შენობას ძველი ფანჯრები ახალი მეტალოპლასტმასის მასალით შეეცვ-

ალა, რომელმაც დადებითი შედეგი მოგვცა – საკლასო ოთახებში ვინარჩუნებთ გარკვეულ ტემპერატურას. დანარჩენს კი რაც შეეხება, სკოლის დირექცია, სამეურვეო საბჭო რაღაცნაირად ვახერხებთ წვრილმანი პრობლემების მოგვარებას.

სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი, რომელიც მოწესრიგებულია და ღია სპორტული მოედანი, რომელიც საკუთარი ხარჯებით გააკეთა დედულეთში გაზრდილმა ნუგზარ ათაბეგაშვილმა. სიმართლე გითხრათ, ბევრ სკოლას კეთილი შურით შეშურდება ჩვენი ღია სპორტული მოედანი...

სკოლის 12 საფინანსო კლასში 168 მოსწავლეა, რომელთა სწავლა-აღზრდას 23 პედაგოგი ემსახურება. მათგან 5 სერტიფიცირებულია. სკოლას აქვს ქიმია-ფიზიკის კლას-ლაბორატორია, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, უცხო ენათა კაბინეტი.

პირველ კლასში 15 მოსწავლეა, მეთორმეტეში – 10. გასულ წელს12 კურსდამთავრებული გვყავდა. აქედან 6 უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულების საქმიანობით ვამაყობთ არამარტო ჩვენ, ჩვენი სკოლის პედაგოგები, არამედ მთელი საქართველოც. თუნდაც ევროპის ხუთგზის ჩემპიონზე ჩვენს უშანგი კუზანაშვილზე ვისაუბროთ, რომელიც არა მარტო მოჭიდავე, ამავე დროს დიდი ქველმოქმედი და ჭეშმარიტი ქრისტიანია. კარგად მოგეხსენებათ, რომ უშანგის თაოსნობით და ფინანსებით აშენდა სოფლების კაკაბეთსა და პატარა ჩაილურს შორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც მარტო ჩვენი სოფლის კი არა, სხვა სოფლების მოსახლეობაც ესწრება აქ ჩატარებულ წირვა-ლოცვას. ამასთან უშანგი დიდ ყურადღებას აქცევს სპორტის განვითარებას ჩვენთან. ასევე, მინდა შეგახსენოთ, საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ჩვენი სკოლის აღზრდილია. ჩვენ მას გაზაფხულზე შეხვედრაც მოვუწყეთ – მან თავისი განვლილი ცხოვრებისა და საქმიანობის ანგარიში წარმოგვიდგინა.

ჩვენი სკოლის აღზრდილები არიან ექიმები: ლილი ჯაჭვაძე, ბესო როსტიაშვილი, მაია ღვინაშვილი, საგარეჯოს კულტგაერთიანების დირექტორი, სანაქებო ოჯახის მამა ბესიკ ღვინაშვილი, მისი სასახელო ოთხივე შვილი.

ჩვენი სკოლის პედაგოგების მიერ გაწეულ შრომაზე ხშირად გვესაუბრებიან ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები. ეს მართლაც დასაფასებელია, რადგან ჩვენი სკოლის თითოეული მასწავლებელი ყოველდღიურად ცდილობს ჯერ თავისი ცოდნის დონის ამაღლებას, მოსწავლეთათვის ასახხსნელი მასალის საინტერესოდ მიწოდებას, შემდეგ კი, შესაბამისად მათგან „დათესილის“ – მოსწავლეთაგან წარმატებული სწავლის შედეგების მიღებას. მე ამ შემთხვევაში თავს შევიკავებ ჩვენი სკოლის 23 მასწავლებლიდან საუკეთესო პედაგოგის დასახელებას, რადგან ისინი ყველანი მართლაც ჭეშმარიტად საუკეთესონი არიან.

მუნიციპალური გვერდი

<u>**დასასრული**</u>

პატარა ჩაილური – 4708 – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
კაკაბეთი – 11700 ლარი – გარე განათების მოწყობა;
ვერხვიანი – 3441 ლარი – გარე განათების მოწყობა;
ყანდაურა – 4952 ლარი – სოფელში არსებულ ბოგირზე სამაგრი მოაჯირის მოწყობა;
ბადიაური – 13709 ლარი – საბავშვო ბაღისათვის ატრაქციონების შეძენა; ბადიაური – გარე განათების მოწყობა;
მზისგული – 5518 ლარი – სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

შიბლიანი – 4056 ლარი – გარე განათების მოწყობა;
იორმუღანლო – 23589 ლარი – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია; მოსაცდელის მოწყობა;
დუზაგრამა – 20030 – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
ლამბალო – 24341 ლარი – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
თულარი – 22306 ლარი – შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
უდაბნო – 2921 ლარი – ძველი საბ. ბაღის შენობაში ორი ოთახის რეაბილიტაცია კულტ. ცენტრის მოსაწყობად.

საკითხების „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იორმუღანლოს თემის ტერიტორიული ორგანოს სოფელ იორმუღანლოს დამისამართების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 15 ივნისის №50 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისა“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს დამისამართების შესახებ საგარეჯოს-საკრებულოს 2012 წლის 10 ივლისის №58 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის კომისიის თავმჯდომარემ*** **ელდარ მეფარიძემ.**

საკრებულოს წევრებმა განიხილეს სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** ესწრებოდა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

მყუდრო, თბილ, ხალისიან გარემოში

საგარეჯოს ***სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №5(მენეჯერი*** **მაია კოხტაშვილი)** მართალია, ქალაქის ცენტრს მნიშვნელოვნად დაცილებულია და ქუჩაზე (კახეთის ქუჩა) არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს, მაგრამ დაწესებულების 92 აღსაზრდელის მშობლებს აქ შვილების მოყვანა უხარიათ. უბრალოდ, ერთი მიზეზის გამო – აქ მყუდრო, თბილი, ხალისიანი გარემოა შექმნილი. დიახ, თითოეული აღსაზრდელზე აქ, ამ ბაგა-ბაღში ყველა თანამშრომელი ზრუნავს და გულშემატკივრობს მათ აღზრდა-განვითარებას, თითოეული დღის გალამაზებას.

დაწესებულების ***მენეჯერის*** **მაია კოხტაშვილის** თქმით: – მართალია შენობა სერიოზულ რემონტს მოითხოვს, განსაკუთრებით შიდა მხარე, მაგრამ შენობის ფანჯრების მეტალოპლასტმასით შეცვლამ, ცენტრალური გათბობის გაკეთებამ მეტად გააუმჯობესა აქ არსებული პირობები. ამასთან, კაპიტალურად შეკეთდა სამზარეულო, დამონტაჟდა წყლის გამაცხელებელი. დღეისათვის პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო ქსელი, რომელიც 1985 წლიდან აღარ ამოცვლილა და სერიოზულ სირთულეებს უქმნით მომსახურე პერსონალს...

სამზარეულოს, სამედიცინო კაბინეტის დათვალიერების შემდეგ ***2-3 წლიანთა ჯგუფში*** შევდივართ. – ჯგუფში 37 აღსაზრდელი გვყავს, – მეუბნება ***აღმზრდელი*** **ზინა ხიბლაშვილი,** რომელსაც პედაგოგობის 44 წლიანი სტაჟი აქვს, აქედან 40 წელია აქ მუშაობს – საბავშვო ბაღის გახსნის დღიდანვე, 1976 წლიდან მუშაობს მეორე ***აღმზრდელი*** **მარინა ქარსაულიძეც,** რომლებსაც ამ წლებში გაზრდილი თითოეული აღსაზრდელი ახსოვთ და დიდი სიხარულით იღებენ ახლა უკვე „შვილიშვილებს" – თავიანთი აღსაზრდელების შვილებს. ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწეა **მარიამ ქვლივიძე**.

აქ სიხარულით, ღიმილით, დიდი მოკითხვებით შემოდიან (დილით, 9 საათიდან) მარიამი, ლიკა, ელენე, გია, ნია, გაბრიელი, ტატო, ალეკო, ლუკა, ვანო, მათე, გიორგი... გვესალმებიან და ინტერესით სავსე თვალებით მიყურებენ – მე მათთვის უცხო ვარ, თუმცა მალე „ეჩვევიან" სტუმარს, მაგიდაზე დალაგებულ სათამაშოებს ათვალიერებენ და იწყებენ თამაშს, შემდეგ სურათის გადაღებაზეც მეთანხმებიან.

მათ საინტერესო „გაკვეთილები" აქვთ. ხან სიმღერით, ზოგჯერ ლექსებით, თვალსაჩინოებებით, ზღაპრებით ეცნობიან წლის დროებს, მასთან დაკავშირებულ ბაღებსა და ვენახებში შესასრულებელ სამუშაოებს, ფერებს, დღესასწაულებს, ერთმანეთისგან ანსხვავებენ შინაურ, გარეულ ცხოველებს და ფრინველებს, მწერებს, ზოოპარკისა და ტყის ბინადრებს, საქართველოს, პროფესიებს... ხალისით, ინტერესით შეისწავლეს „შემოდგომა", ფერების მიხედვით გაიცნეს და დააჯგუფეს ხილი, ბოსტნეული. წაიკითხეს ზღაპრები, მოთხრობები, შეისწავლეს ლექსები შემოდგომაზე, ბოსტნეულზე. დაამზადეს ფიგურები, რომლებიც ხილსა და ბოსტნეულს მიამსგავსეს, გააფერადეს ლამაზ-ლამაზი ფერებით, გამოჭრეს შესაბამისი ზომის ფოთლები. თუმცა ეს ყველაფერი პატარებმა აღსაზრდელებთან ერთადმომზადებისას ნახეს. საინტერესო იყო მათ მიერ გადმოცემული რთველი.

სხვა ჯგუფების აღსაზრდელებთან ერთად იზეიმეს შემოდგომა, მოიწვიეს სტუმრები, იმღერეს, იცეკვეს, ლექსებიც თქვეს, თუმცა მოკრძალებულად, რადგან ჯერ პატარები არიან...

4-5 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი **ლალი ილაური**, ***აღმზრდელის თანაშემწე*** **შორენა თარიმანიშვილი)** 23 აღსაზრდელია. ასეთი მეგობრული, ხალისიანი ბიჭები ალბათ არც ერთ საბავშვო ბაღს არ ჰყავს, არც ასეთი მშვიდი, წყნარი გო-

გონები. სურათი გადაგიღოთო და ბიჭები წამში ისე ჩამწკრივდნენ, ისე მოძებნეს ერთმანეთი, დიდხანს ვიცინოდი და მათთვის სურათის გადაღება ძლივსღა მოვახერხე – ისინი კი იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ ჩემს დამშვიდებას. აი, ისინიც – ძმაკაცები და დიდი, დიდი მეგობრები. – ასეთი მეგობრული ურთიერთობა არც ერთ ჯგუფში, არც ერთ თაობაში არ მინახავს, – მეუბნება აღმზრდელი, რომელსაც ამ ბაღში მუშაობის 40 წლის სტაჟი აქვს, – საოცარი სიყვარულით არიან ერთმანეთის მიმართ, სულ ერთად უნდათ ყოფნა, არასოდეს კამათობენ, თამაშობენ ძალიან მშვიდად, არც გოგონებს აქცევენ ყურადღებას და არც მათ თოჯინებს აწიწკნიან თმებს. აი, თემუკა ზალიკანიანი ნამდვილი ამხანაგია, დაბრძენებული, მშვიდი, გონიერი, ჩამოყალიბებული პიროვნებაა და მეც ახლაღა ვამჩნევ „კაცს", რომელიც სერიოზული იერით, დაკვირვებული თვალით მათვალიერებს, შორიახლოს ტრიალებს და აინტერესებს ჩემი გაცნობა. უამრავი საერთო მეგობარი აღმოვაჩინეთ, ბებია-პაპა, დედა, ბიძა, ბიძაშვილები... უხარია,, რაღაცნაირი სიდინჯით მიღიმის და დამშვიდობებისას ხელს კაცურად მიწვდის და ომახიანად მემშვიდობება... მასთან ერთად ზურა, ტატო, გოგი, დათა, ანი, გიორგი, რობი, ანზორი, ანანო, ელენე, ბარბარა და სხვ. რამდენიმე წუთში მათ აღმზრდელი სასწავლო პროცესის დასაწყებად ამზადებთ.. აღსაზრდელებმა უკვე იციან 20-მდე თვლა, წყვილებად დათვლა, 10-დან უკუთვლა, ცნობენ გეომეტრიულ ფიგურებს, იცნობენ ციფრებს, კარგად ერკვევიან ფერებში, წელიწადის დროებში. სწავლობენ ჰიგიენას, ეცნობიან ოჯახს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ტრანსპორტს. ერთად ისაუბრეს შემოდგომაზე, რთველზე, ვაზის კულტურაზე, თათარასა და ჩურჩხელის ამოვლებაზე, გამოჭრეს ფოთლები...

5-6 წლიანთა ჯგუფში (აღმზრდელი **მერი გზირიშვილი**, ***აღმზრდელის თანაშემწე*** **თინიკო რევაზიშვილი)** 26 აღსაზრდელი ერთნაირი ინტერესით მხვდება. ვეცნობით ერთმანეთს, შემდეგ ვსაუბრობთ ყველაფერზე. ჯგუფში იოსე შაქარაშვილი ჰყავთ, რომელსაც თურმე 7 და-ძმა ჰყავს. ახალი სასწავლო წლიდან 18 აღსაზრდელი მიდის სკოლაში. ნინიმ, ელენემ, ნინამ, ეკამ, გიორგიმ, ნანუკამ, ლიზიმ, მარიამმა და მათმა ჯგუფელებმა შემოდგომა დიდი ზეიმით

დასასრული მე-7 გვერდზე

მხარეთმცოდნეობა

მალე დაარსებიდან 60 წელი

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სულ მალე დაარსებიდან 60 წლისთავს აღნიშნავს. არსებობის ათვლას იგი 1958 წლიდან იწყებს და მისი პირველი ხელმძღვანელი კარგად ცნობილი საგარეჯოელი ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ელერდაშვილი გახდა, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის როგორც ამ მუზეუმის დაარსების, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიის შესწავლისა და გამომზეურების საქმეში. თითქმის 6 ათეულწლიანი ისტორიის მანძილზე მუზეუმმა ერთი ადგილსამყოფელის შეცვლა ვერ „მოახერხა", თორემ უკვე ცხრა ხელმძღვანელის გამოცვლა, მრავალგზის ძარცვა-გაპარტახება, რაიონის მოსახლეობის, სკოლების პედაგოგ-მასწავლებლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის რუდუნებით შეგროვილი და შემოწირული საოჯახო თუ სხვა მოძიებული ექსპონატების დატაცება განიცადა. ამ ოთხიოდე წლის უკან მუზეუმს სარეაბილიტაციო სამუშაოებიც ჩაუტარდა, რის შედეგადაც უკვე საიმედოდაა დაცული აქ შემორჩენილი ექსპონატები შემდგომი დატაცებისა და დაზიანებისაგან.

სადღეისოდ მუზეუმის დირექტორი საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი და ჩვენი ქალაქის კოლორიტი პიროვნება **ბადრი დრეიძე** ***გახლავთ, რომელიც ამ თანამდებობაზე 2012 წლიდან მუშაობს და ყოველნაირად ცდილობს უფრო ეფექტური და საინტერესო გახადოს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ჩვენი კუთხის ისტორიისა და ყოფიერების ეს უმნიშვნელოვანესი კერა. ამ დღეებში ჩვენ სამუშაო კაბინეტში ვეწვიეთ მუზეუმის რიგით მეათე დირექტორს და ვთხოვეთ გაეცნო აქ არსებული პირობების შესახებ.***

– მუზეუმის ბოლო გაძარცვა 2010 წელს მოხდა, როდესაც მძარცველებმა ბევრი ღირებული და საინტერესო ექსპონატი გაიტაცეს,– ***გვიყვება ბადრი დრეიძე და თან მუზეუმში სადღეისოდ დაცულ ექსპონატებს გვათვალიერებინებს.*** – საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გულთან მიიტანა მუზეუმში არსებული მდგომარეობა და 2012 წელს არსებული პროგრამის ფარგლებში მოახდინა მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები მოკლე დროში გაზაფხულის მიწურულიდან შემოდგომის დაწყებამდე მოესწრო. ამის შემდეგ ექსპონატები საიმედოდაა დაცული, როგორც გარემოს ზემოქმედების, ისე ყოველგვარი ხელყოფისაგან. იმავე 2012 წლიდან მუზეუმის დაცვა აყვანილია დაცვის პოლიციის სამსახურში.

სადღეისოდ მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გამოფენილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოძიებული არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკის ნიმუშები, როგორც ჩვენი, ისე წინაქრისტიანული ეპოქებიდან. აქედან არქეოლოგიური ნიმუშების უმეტესობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდის – 30-40 საუკუნის წინანდელია. არის ქვის ეპოქის ექსპონატებიც. ნუმიზმატიკაში გვაქვს ძველი, მე-7 საუკუნის არაბული მონეტა. ეთნოგრაფიულ კუთხეში გამოფენილია ქართული ყოფიერების დამახასიათებელი ნიმუშები – ქართული კევრი, კაკაბეთური გუთანი, ხის აჩაჩა გუთანი, ჭაპანი, ცხავი, საჩეჩელი. ზოგი ნივთები კი ახლაც შემოწირულობის სახით მოაქვთ ჩვენს მოქალაქეებს.

– გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ასევე დაცული იყო სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, რომელთაც რატომღაც ვერ ვხედავ გამოფენაზე.

– ასეთი დოკუმენტები და ხელნაწერი წყაროები ამ თანამდებობაზე ჩემი მოს-

დასასრული მე-7 გვერდზე

დასასრული

გააცილეს. უამრავი ლექსი, სიმღერა, ცეკვა მიუძღვნეს შემოდგომის ლამაზ ფერებს, ნაირ-ნაირი ფოთლებით, ხილითა და ბოსტნეულით მოქარგეს დარბაზი...

მერი მასწავლებელთან ერთად, რომელიც 44 წელია ამ ბაღის შენობის კედლებში მათნაირ თვალმახარა გოგო-ბიჭებს სამყაროს აცნობს, უამრავი რამ შეისწავლეს. აღარაფერს ვამბობთ მათემატიკაზე, დედამიწასა და კოსმოსზე, მოგზაურობასა და თავგადასავლებზე, ტოლერანტობაზე, გოლიათებსა და გიგანტებზე, ჯანსაღ კვებაზე. მათ ის ადგილიც გაიცნეს, სადაც ცხოვრობენ, კარგად გაათვითცნობიერეს მეგობრობა... პროფესიებიც შეისწავლეს. პროფესიების გაცნობის შემდეგ ჩამოყალიბდნენ და მშვენივრად მიხსნიან, რატომ უნდათ სხვადასხვა პროფესიების დაუფლება. ასე, მაგალითად, მერაბი – პოლიციელი გამოვა, მარიამი – სტომატოლოგი, თურმე იცის, რა არის კარიესი, კბილის დაბჟენვა. ანი – ექიმი-პედიატრი იქნება, ნონა და ნინი ცეკვის მასწავლებლები და ნინი დიდი მონდომებით ცდილობს თითის წვერებზე გაიაროს. ნიკა – ჭიდაობის მასწავლებელი, მწვრთნელი გამოვა. ვნახოთ...

მოცეკვავე ნინი

სამზარეულოში
ნაირა შაქარაშვილი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

მყუდრო, თბილ, ხალისიან გარემოში

5-6 წლიანები

ყველას ერთად კი იმ საკონცერტო დარბაზისკენ მიუხარია, სადაც მუსიკისა და ფიზკულტურის გაკვეთილები უტარდებათ. მუსიკის გაკვეთილებს მათი საყვარელი მასწავლებელი **ნუნუ ტაბატაძე** უტარებთ. მან აღსაზრდელებს თავისი ხელით გაულამაზა დარბაზი, მოხატა კედლები. -ძალიან მიყვარს ბავშვები, მათგან დადებითი ენერგია მოდის, ყოველთვის ინტერესით მისმენენ და ჩემთან ერთად მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში თავისუფლად, სიყვარულით შემოდიან, - ***მეუბნება ქალბატონი ნუნუ,*** -43 წელია მუსიკას ვასწავლი საბავშვო ბაღში, ყოველთვის ვცდილობ დავიხარჯო ისე, რომ თითოეულ ბავშვს შევაყვარო და შევასწავლო მუსიკა, სიმღერა... მეამაყება, რომ ამ საბავშვო ბაღის აღზრდილები, ჩემი ყოფილი აღსაზრდელები ეკა მაზანიშვილი, ირმა და ინგა ოტიაშვილები, თამარ ხაბაზიშვილი ჩემს კვალს გაჰყვნენ და დღეს მუსიკის მასწავლებლები არიან...

მედდა ლალი
როსტომაშვილი

საკონცერტო დარბაზი

ჩემმა ახლადგაცნობილმა მეგობრებმა კი ნუნუ და მერი მასწავლებლებთან ერთად სიმღერა „მრავალჟამიერი“ ისე შემოსძახეს, თითქოს კედლებმა სიხარულით განზეც კი გაიწიეს.

დაწესებულების ***მეთოდისტია*** **ლია ფეიძრიშვილი,** ***ფსიქოლოგი*** – **ციცინო დათუნაშვილი,** ***ლოგოპედი*** – **გულიკო გოცირიძე.** ქნი ციცინო უკვე 35 წელია ამ დაწესებულებაში მუშაობს. მისი დაკვირვების ქვეშ ასეულობით აღსაზრდელმა გაიარა. ვინ იცის რამდენი ბავშვისთვის გაუწევია პროფესიული დახმარება.

როგორც საუბარში აღნიშნა, ერთეული შემთხვევები იყო და ზოგჯერ ახლაცაა აუტისტური სპექტრის აღსაზრდელებთან მუშაობის საჭიროება. მაგრამ ასეთი ბავშვები სწორი მიდგომით სძლევენ იმ პრობლემებს, რომლებიც აქვთ, ებმებიან თავიანთ თანატოლებთან ერთად ყოველდღიურ მეცადინეობებში, აქტივობებში მაგრამ, რაც მთავარია, ასეთებს მოფერება და სიყვარული სჭირდება. სწორედ ასეთი სიყვარულისა და

ლოგოპედი, მეთოდისტი,
ფსიქოლოგი

მზრუნველობის შედეგს ხშირად დადებითად იღებენ ის ბავშვები, რომლებიც აქ მოსვლამდე გაურბოდნენ თანატოლებთან, საერთოდ, ადამიანებთან აქტიურ ურთიერთობებს.

ლოგოპედის, **გულიკო გოცირიძის** თქმით კი, მართალია ატარებს ფრონტალურ და ინდივიდუალურ მეცადინეობებს, მაგრამ დღესდღეობით მეტყველების დეფიციტი იშვიათობად იქცა. ამჟამად 92 აღსაზრდელიდან ჯერჯერობით 4 ბავშვს სჭირდება ლოგოპედის დახმარება.

დაწესებულების აღმზრდელი პედაგოგები ***მეთოდისტ*** **ლია ფეიძრიშვილთან** ერთად პროგრამული წიგნის მიხედვით ამზადებენ თითქმის ყველა გაკვეთილს, ყველა მეცადინეობას, ამზადებენ თვალსაჩინოებებს, დამხმარე ლიტერატურას, ზეიმებს, ერთად აგვარებენ პრობლემებს.

მზარეული მარინა
გზირიშვილი

მცარეთმცოდნეობა

მალე არსებობის 60 წლისთავს იზეიმებს

დასასრული

ვლის პერიოდისათვის არაფერი დამხვედრია. ეტყობა ბოლო ძარცვის დროს მძარცველებმა სხვა ექსპონატებთან ერთად ისინიც ხელს გააყოლეს.

– მაინც რა ზარალთან და დანაკარგებთან გვაქვს საქმე, ხომ არ გაქვთ ამის სტატისტიკა?

– ამის დათვლა და გამოანგარიშება სრულიად შეუძლებელია, რადგან წაღებულია და აღარ არსებობს სათანადო აღრიცხვის დავთრები. კერძოდ, 1962 წლიდან 1983 წლის პერიოდის შუალედური დავთრები. ისე, თქვენც ვიზუალურად გემახსოვრებათ მუზეუმში გამოფენილი უამრავი საყოფაცხოვრებო ნივთები, ვერცხლის ნაკეთობები, რომლებიც დატაცებულია და წაღებულია. წინა პერიოდს ვინ ჩივის და ახლაც, ჩვენს პერიოდშიც გარკვეული პირები ცდილობენ მუზეუმს ხელიდან გამოაცალონ აქ დაცული ექსპონატები და თავიანთი ქვენა მიზნებისათვის გამოიყენონ. ამ რამდენიმე წლის უკან ცნობილმა არქეოლოგმა, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა 1 თვით თხოვების ხელწერილით მუზეუმიდან გაიტანა აქ დაცული უნიკალური რაპირა, ვითომდა მისი წარმოშობის ისტორიის დადგენის მიზნით და მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, უკან აღარ აბრუნებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სადღეისოდ ეს რაპირა სიღნაღის მუზეუმშია დაცული და რატომღაც ამ სამართალდარღვევაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას, მაშინ, როცა ამ საქმის კურსში თითქმის ყველაა ჩაყენებული. აღნიშნული პიროვნების ხელწერილი კი ჩვენს მუზეუმშია დაცული.

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ბოლო ათასწლეულების მანძილზე ბევრი არქეოლოგიური აღმოჩენა მოხდა ყორულის ნაკრძალში. თუ არის მუზეუმში დაცული იქ მოძიებული ექსპონატები?

– უდაბნოს არქეოლოგიური ექსპედიციის დროს არქეოლოგიური ნივთები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თბილისშია დაცული. რაც შეეხება ყორულის აღმოჩენას, იქ ნაპოვნი სარიტუალო ჭურჭელი გადმოგვეცა და დღეს ჩვენს მუზეუმშია დაცული.

– საუბრის დასაწყისში მუზეუმის დღევანდელი შემომწირველები ახსენეთ. ვინ არიან ისინი და რა ექსპონატებით გაამდიდრეს მათ ჩვენი საგამოფენო სივრცე?!

– ძირითადად ეს არის ეთნოგრაფიული ექსპონატები. საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ჯაბადარმა მუზეუმს შემოსწირა საოჯახო აკვანი და სხვა ნივთები, ქეთევან ხუციშვილმა – საოჯახო ფარდაგი და ხურჯინი. ივანე და ვასიკო ჯაფარიძეებმა – ცომის მოსაზელი ვარცლი და ჯარა. პედაგოგმა ლელა არაბულმა – ხელსაფქვავი. შემოწირულობები გრძელდება, თუმცა პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს სათანდო საცავი.

– საცავის გარდა სხვა რა პრობლემები გაქვთ?

– როცა ამ სამი წლის წინ მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები ტარდებოდა საგარეჯოს სასმელი წყლის კომპანიის მაშინდელი ხელმძღვანელობა შეგვპირდა, რომ მოკლე ხანში გამოგვიყვანდნენ სასმელ წყალს, მაგრამ ეს 3 წელი ისე გავიდა, წყალი სულ სამჯერ არ მიგვიღია. არ გვაქვს ბუნებრივი აირი. კარგი იქნება თუ დაგვიმატებენ კიდევ ერთ კომპიუტერს.

– როგორ დგას მუზეუმში ტურისტებისა და დამთვალიერებლების მიღების საქმე, საერთოდ თუ აკითხავენ ისინი მუზეუმს?

– მუზეუმში ერთი დამთვალიერებლის ვიზიტის ფასი 1 ლარია. ექსკურსიამძღოლის დაქირავების შემთხვევაში – 3 ლარი. რაც შეეხება ექსკურსიებსა და დამთვალიერებლებს, არა ისეთი ინტენსივობით. ამიტომ, ვფიქრობ, მომავალში ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი მათი დაინტერესებისა და მოზიდვის მიზნით.

– ბატონო ბადრი, რა პროექტებსა და სიახლეებზე მუშაობს ახლა მუზეუმის ხელმძღვანელობა?

– ამჟამად ვეძიებთ მასალებს საოჯახო და ისტორიული მასალების გამოფენისათვის. ყველა მსურველს შეუძლია მოგვაწოდოს თავისი ოჯახისათვის მნიშვნელოვანი და ისტორიული ფოტოსურათები. ჩვენ მუზეუმში დავასკანერებთ ფოტოსურათებს და უსასყიდლოდ დავუბრუნებთ მათ პატრონებს, ასლები კი გამოფენილი იქნება ამისათვის გამოყოფილ ცალკე კუთხეში, ისე, რომ ჩვენ ერთი წუთითაც არ ვწყვეტთ მუშაობას ჩვენი მუზეუმის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ასევე, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ რაც სადღეისოდ მუზეუმშია და რაც შემდგომში შემოვა, სათანადოდ იქნება დაცული უკეთურთაგან შემდგომი ხელყოფისაგან.

ბ. დაბახიშვილი

თემოგის სეფაძონი

მომარაგება უწყვეტი და ხარისხიანი იქნება

საქართველოში ნაადრევად მოსულმა ზამთარმა ცოტა არ იყოს გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია – როგორი იქნება ბუნებრივი აირით მოსახლეობის მომარაგება, „გაუძლებს“ თუ არა „სოკარ-ჯორჯია გაზი“ ამონენტთა მოთხოვნებს?

სწორედ ამ კითხვებით მივმართეთ შპს **„სოკარ-ჯორჯია გაზის“** საგარეჯოს სერვის ცენტრის მენეჯერს **აკაკი შარაბიძეს**.

როგორც ბატონმა აკაკიმ გვითხრა,– წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე ზამთარს სერიოზული და ლოკალური პრობლემა აბონენტთა ბუნებრივი აირით მომარაგების საქმეში არ შეიქმნება. ასეთ შემთხვევაში ყველანაირი პრობლემა ოპტიმალურად და მყისიერად იქნება აღმოფხვრილი. საგარეჯოს რაიონს, სადაც 12628 ბუნებრივი აირით მოსარგებლე აბონენტია, 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი და მომავალშიც გაგრძელდება და შენარჩუნდება სტაბილურობა. მთავარია, თითოეულმა აბონენტმა დროულად და სრულად გადაიხადოს მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება. ბუნებრივი აირი საგარეჯოს რაიონს (გარდა აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლების, მზისგულისა და ბადიაურის (ისინი ე.წ. იორმუდანლოს ხაზიდან იღებენ აირს) კომპანია „კანარგოდან“ მიეწოდება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ემატება ცენტრალური მილი. აღნიშნული მილი ავტომატურ რეჟიმშია ჩართული ქსელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წნევის დავარდნის შემთხვევაში „კანარგოდან“ მოწოდებულ გაზს ცენტრალური მილიდან გაზის გარკვეული ოდენობა ავტომატურად ემატება...

რაიონში ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ისეა დაპროექტებული, რომ ყველა სახის პრობლემის უმტკივნეულოდ აღმოფხვრა მოხერხდება (თუ ასეთი რამ ოდესმე შეიქმნა).

რაც შეეხება ბუნებრივი აირით აბონენტთა მომარაგებას და მათგან მოხმარებას, 14 ნოემბრისათვის, 24 საათში რაიონში 22 ათასი m^3 მოცულობის აირი გაიხარჯა, 25 ნოემბერს – 36000. მოხმარების ეს მაჩვენებელი კი პირდაპირ კავშირშია ტემპერატურის მკვეთრ დაცემასთან, შესაბამისად ბუნებრივი აირის მოხმარების გაზრდასთან.

იანვარში საბოლოოდ დამთავრდება აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლების გაზიფიცირება. აქ ცალკეულ სოფლებში პატარ-პატარა უბნები იყო დარჩენილი (ცენტრალური ქუჩებიდან საკმაო მანძილით დაშორებული) გაზიფიცირების გარეშე, მაგრამ დღეს გაზსადენი მილებით დაქსელილმა საერთო მანძილმა 46კმ შეადგინა. სამუშაოების მჭიდრო ვადებში დასასრულებლად ჩვენმა კომპანიამ იქ ტექნიკა და სამუშაო ბრიგადები დაამატა. ახლა საუბარი მიმდინარეობს ზემო ყანდაურის გაზიფიცირებაზე, რომლის საკითხი მალე განიხილება და „სოკარ-ჯორჯია“ მათი სახით კიდევ მრავალ აბონენტს დაიმატებს.

ჩვენი თითოეული თანამშრომელი დღეს ერთსულოვნადაა მომზადებული და მობილიზებული ზამთრის განმავლობაშიც და შემდეგშიც – ჩვენს აბონენტებს უწყვეტად და ხარისხიანად მივაწოდოთ ბუნებრივი აირი.

მადლიერების მისამართები

მოგვარდა უმნიშვნელოვანესი საკითხები

სოფელ ნინოწმინდის ეკომიგრანტებით დასახლებულ უბანში ჩამოსახლებული ოჯახები 26 წელია იმ პრობლემების მოგვარებას ელოდნენ, რომლებიც აქ არსებული გზის, სასმელი წყლის მიწოდების მოწესრიგებას ითვალისწინებდა. და აი, სულ ახლახანს აქ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის უშუალო ძალისხმევით მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა. კონკრეტულად, გაიწმინდა სასმელი წყლის ჭა, რომელიც 15 წელია უფუნქციოდ იყო. ამ ჭისთვის შეძენილ იქნა წყლის საქაჩი მოტორი, რომელიც ახლა უწყვეტად ახორციელებს აქ მცხოვრები ოჯახებისათვის სასმელი წყლის მიწოდებას. ასევე, ნინოწმინდის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობიდან გაყვანილ იქნა სასმელი წყლის ცალკე მილი, რომელიც ასევე უბნის მცხოვრებთა სასმელი წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გაკეთდა სანიაღვრე არხი, რომელმაც გაალამაზა ქუჩა და ნალექის დროს გზის დაზიანებაც იქნა თავიდან აცილებული; მოიხრეშა და მოწესრიგდა საუბნო გზა, რომლის მოწესრიგებას ეკომიგრანტები დღიდან აქ დასახლებისა ელოდნენ.

მადლობას ვუხდით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს*** **გიორგი გზირიშვილს** ჩვენი დასახლების მცხოვრებთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის, იმ პრობლემების მოგვარებისათვის, რომელსაც ჩვენი, თითოეული ადამიანის საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო პირობებს აუმჯობესებს. მადლობა შპს „საგარეჯოს“ ხელმძღვანელობას და მათ თანამშრომლებს სამუშაოების ოპტიმალურ ვადებსა და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

სოფელ ნინოწმინდის ეკომიგრანტთა დასახლების მცხოვრებთა სახელით

ემზარ გორგილაძე.

ციალა და ალექსანდრე ურდულაშვილები

იყო კაცი და ჰქონდა ცეცხლივით ანთებული გული „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება!..“ – უთქვამს ჭკვიან კაცს და ჭეშმარიტად. ჩვენც სწორედ ჩიტივით გაფრენილ ორ ლამაზ სიცოცხლეზე გვინდა გესაუბროთ, ჩვენო თანამემამულენო.

ჩვენს ქალაქში იყო ოჯახი, რომელიც დიდი რუდუნებით, სიყვარულით, ურთიერთგაგებითა და მომავლისადმი ღრმა რწმენით შეიქმნა. ოჯახის თავი ალბათ ჯერაც არავის დავიწყებია. იყო ბატონი ალექსანდრე ურდულაშვილი, რომელსაც გვერდში ედგა და გვერდს უმშვენებდა შესანიშნავი ქართველი ქალბატონი ციალა ნარიმანიშვილი...

შრომა იყო მათთვის უდიდესი სიქველე არა მარტო საკუთარი ოჯახისადმი, არამედ ქვეყნისათვის, თანამემამულეთათვის... აკი იღწვოდნენ კიდეც, იბრძოდნენ, მაგრამ ზოგჯერ თუ კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი შრომის ნაყოფით, უფრო ხშირად უკმარისობის გრძნობა არ ასვენებდათ, რადგანაც ღრმა და უკიდეგანო იყო მათი გრძნობების სიღრმე და თითქმის გაუთვითცნობიერებელი სულიერი სამყარო.

უბრალო, გადაუჭარბებელი კომპლექსების არმქონე იყო ბატონი ალექსანდრე, ჩვენი ძმა და მეგობარი. მისი ნათელი შუბლი და თაფლისფერი თვალების სითბო ერთი შეხედვით გაგრძნობინებდათ მის ლაღ, კეთილ და სასიამოვნო განწყობილებას თანამშრომლებისა და მეგობრებისადმი, მაგრამ საქმეში მომთხოვნი იყო და სამართლიანი. არავის აპატიებდა პატიოსანი ცხოვრებიდან გადადგომას. აკი ბევრი ახალგაზრდა თანამშრომელი დააკვალიანა, ასწავლა შრომის ფასი, გამოზარდა პატიოსან ადამიანად.

ერთხანს ალექსანდრე კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად და რაც ყველაზე მთავარია, იყო სოფელ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის დამაარსებელი და დირექტორი.

მაგრამ მისი ჰობი მეცნიერებისადმი ლტოლვა იყო, რაც არ ასვენებდა მის სულს და



აფორიაქებდა. ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტა ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანა. გადაინაცვლა დედაქალაქში და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში იყო პროფესორი, იყო მრავალი შრომისა და წიგნის ავტორი, აღზარდა მრავალი სტუდენტი და ასპირანტი. ბატონ ალექსანდრესა და ქალბატონ ციალას სხვადასხვა პროფესიულ ფრონტზე უხდებოდათ შრომითი საქმიანობა, რაც რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ციალა მასწავლებელი საკმაოდ წარმატებული პიროვნება იყო. მუშაობდა ჩვენი ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და როგორც მეთოდისტი, წლების მანძილზე ეხმარებოდა ახალგაზრდა პედაგოგებს პროფესიულ დაოსტატებაში. იყო მომთხოვნი და სამართლიანი, ამიტომაც სკოლაში ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ.

მისი გაკვეთილები მძივივით ასხმული იყო. არსოდეს უწევდა ხმას. უყვარდა ბავშვები და ყოველთვის იყო ნორმალური დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. ციალა მასწავლებელში მეორე მშობელს ხედავდნენ მოსწავლეები, უყვარდათ ვიზუალურად და რეალურად ამაღლებული ქალბატონი.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქალბატონი ციალა განუმეორებელი იყო, როგორც დედა. ის მართლაც „ლამაზად“ ზრდიდა თავის სამ ქალიშვილს და დიდი ვაჟასი არ იყოს, „ღმერთი იყო“. სკოლაში საკმაოდ დატვირთულს არანაკლებ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ოჯახში, მაგრამ ბედნიერი იყო და კმაყოფილი.

სამწუხაროა, რომ ამ ორ ადამიანს ნაადრევად შემოაღამდა, ნაადრევად მიინავლა ცეცხლი მათ კერაზე, ჩაიფერფლა მათი წილი ღადარი, მაგრამ უკვალოდ არ დაკარგულა მათი სიყვარულის ნაყოფი. დედაფუძიდან საიმედოდ აგიზგიზდა სამი ახალი კერა მათი შესანიშნავი ქალიშვილებისა, მშობელთა კერიის ჩაფერფლილი ღადარიდან აღიგზნო უფრო დიდი და ძლიერი სიყვარული. შვილები მიჰყვნენ მშობლების ნაოცნებარ უფრო ძლიერ კვალს და შემოქმედებითად აგრძელებენ ლამაზ ცხოვრებას. ნესტანი, თამრიკო და მადონა ურდულაშვილები საგარეჯოს I საშუალო სკოლის კედლებიდან აფრინდნენ, შეიარაღებულნი ღრმა საფუძვლიანი ცოდნით. ისინი წარმატებული ექიმები არიან და დგანან ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. მათაც ღირსეულ მეუღლეებთან ერთად აღზარდეს შესანიშნავი შვილები.

დაე, იხარონ მათმა ჭერმა. ჩაუქრობლად ენთოს მათ ლამაზ ოჯახებში იმედის მომცემი ლამპარი ღირსეული მშობლების სასახელოდ.

ღმერთი იყოს მათი მფარველი!

ნელი ქაიხოსროშვილი,
მარინა გულისაშვილი,
ეთერ მურმანოვი

ახალი წიგნი

გარე-კახეთის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე

ოქტომბრის ბოლოს საგარეჯოელმა მკითხველმა მწერლისა და ცნობილი ისტორიკოსის ჟურნალისტ ალექსანდრე ელერდაშვილის მორიგი წიგნი-მონოგრაფია „ნინოწმინდა“ მიიღო. წიგნი შეიცავს არა მარტო დიდი ისტორიული ხუთიათასწლოვანი სოფლის ისტორიას, არამედ ქრისტიანობის გამავრცელებელ, მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს. წმ ნინომ თავისი სიცოცხლე კუხეთში, ისტორიულ დაბა ბოდისში – გარე-კახეთში (დღევანდელ ნინოწმინდაში) დაასრულა და მისივე ანდერძით ნინოწმინდის მიწაზე დაიკრძალა 334 წელს.

წმინდა ნინოს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის გაქრისტიანების საქმეში, ამიტომაც იგი, როგორც წიგნის ავტორი ამბობს, თავის სიცოცხლეშივე წმინდანად გამოცხადდა. მის საპატივსაცემოდ საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ ისტორიულ სოფელს დიდ დაბა ბოდისს სახელი გადაარქვა და წმინდა ნინოს სახელის უკვდავსაყოფად ნინოწმინდა უწოდა.

იმ ისტორიული დღიდან 16 საუკუნეზე მეტი გავიდა და ეს დიდი ისტორიის მქონე დაბა-სოფელი 16-ჯერ დაინგრა და აღიგავა ჩვენი აგრესორი მტერ-მოყვარეთა მიერ.

როგორც წიგნის ავტორი გვაუწყებს, „სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე ნინოწმინდელებმა არც კი იციან თავისი სოფლის ისტორია და წმინდა ნინოს საფლავის ადგილად სიღნაღის რაიონის სოფელი ბოდბე მიაჩნიათ. წმ. ნინოს სახელობის მუზეუმიც კი ააშენეს და ტურისტებს მცდარ ცნობებს გადასცემენ წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ.

60 წელი მოვანდომე და მოვიძიე სრულყოფილი მასალები ამ მცდარი აზრის უარსაყოფად, რომელიც დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა დაუშვა XVIII საუკუნის 40-იან წლებში თავის ისტორიულ შრომებში „აღწერა სამეფოსა საქართველოისი“

წიგნი „ნინოწმინდა“ მკითხველისათვის საინტერესო მასალებს მოიცავს.

წიგნის სპონსორია საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru